

მწყემსი

1888-1889

გ ა ზ ე თ ი ს ო ა ს ი :

«მწყემსი»	«მწყემსი» რუსული გამოცემით
12 თვეთ 5 მან.	12 თვეთ 6 მან.
6 — 3 —	6 — 4 —

გაზეთის ფურცლის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: ვა *Кавриани*, В *контору редакци* „*Мухомси*“ (Пастыр).

ყველა სტატიები და კორექსიონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავთ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატუა, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატუები მიიღებიან რუსულ ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.


«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის დასრულებულ და ოც-და-ათ რიცხვებში.

რა მიზანია, რომ ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში სწავლის საშემ რიგიანად მერ მიღის?

1888 წელში «მოსკოვის საეკლესიო უწყებათა» № № 49 და 50-ში დაიბეჭდა ორი სტატია. ამ სტატიებში დასახელებული იყო მიზეზნი, რომელნიც, ავტორის აზრით, ხელს უშლიან მოწაფეთა სწავლის საქმეს სასულიერო სასწავლებლებში. ავტორი აღარებდა უწინდელი დროის მოთხოვნილებათ ეხლანდელი დროისას. ამ შედარებიდამ მას ის დასკვნა გამოყავდა, რომ ეხლანდელი სამღვდლოებისაგან საზოგადოება ბევრს რამეს ითხოვს, ამიტომ იმ სასწავლებლებში, რომელნიც ამზადებენ მომავალ მღვდლებს, გაძლიერებულ და გაფართოებულ იქნა სასწავლო კურსი და ეს გაძლიერება დღეს იმ ზომამდე მივიდა, რომ მოსწავლეთა უმეტესმა ნაწილმა ვეღარ შეიძლო აღნიშნული კურსის შეთვისება, ე. ი. მოწაფეები ვეღარ ასწრებენ აღნიშნულ საგნების გავლას და ხეირიანად შეთვისებას. მეორე მიზეზად ის მიაჩნია ავტორს,

რომ დღეს ჩვენს სასულიერო სასწავლებლებში შესწავლელთა რიცხვმა მეტად იმატა და ამ მრავალთაგან მასწავლებელნი ირჩევენ უფრო კარგ და ნიჭიერ ემაწვილებსო.

ამ «უწყებათა» უკანასკნელ ნომერში დაიბეჭდა აგრეთვე ერთი სტატია სოფლის მღვდლისა, რომელსაც უმართებულოდ მიაჩნდა დასახელებული საბუთები და მასთან ყურადღებას აქცედა იმ გარემოებასაც, თუ როგორ ასრულებენ მასწავლებელნი თავიანთ მოვალეობას. პი რას ამბობს ეს მღვდელი: «უსამართლოება იქმნება, რომ ამ სამწუწარო მოვლენის მიზეზად მართო მასწავლებლები ჩაეთვალათ, მაგრამ არც იმისი თქმა შეიძლება, რომ რამოდენიმეში მასწავლებლებიც არ იყვნენ დამნაშავენი. რომ ბევრში ისინიც სტყუიან, ამას ამტკიცებენ შემდეგი გარემოებანი: ზოგიერთ სასულიერო სასწავლებლებში მოსწავლენი უკეთესად სწავლობენ, ვინემ სხვაებში; ერთსა და იგივე სასწავლებელში მოწაფენი ზოგ საგნებს სუსტად სწავლობენ და ზოგს კარგად; ზოგ სასწავლებლებიდან უფრო ბევრ მოწაფეებს რიცხვენ, ვინემ სხვაებიდგან. მარეშე პირობებიც ბევრია, რომელნიც



ხელს უშლიან სწავლის საქმეს, მაგრამ ამ საქმის წარმატება უქეტესად დამოკიდებულია მასწავლებელზე. **მ**თუ როგორ სწარმოებდა სწავლის საქმე სხვა-და-სხვა სასულიერო სასწავლებლებში, ამის შეტყობა და დაფასება შეიძლებოდა სემინარიაში შემსვლელ პართა გამოცდისაგან: ზოგი სასწავლებლებიდან მოწაფეები კარგად მომზადებული მოდიოდნენ, ხოლო სხვები—საგან—ცუდად. ძარგი და ცუდი მომზადება, რასაკვირველია, დამოკიდებული იყო სასწავლებლების მასწავლებლებზე. ცხადია, რომ ნიჭიერ და კეთილსინდისიერ მასწავლებელთა შორის მოიძებნებიან ისეთებიც, რომელთაც არ მოსდევთ შესაფერი ნიჭი და რომელნიც სრულებით არა ზრუნვენ თავიანთ საქმეზე. **მ**თუ კი იმას აღვიარებთ, რომ ყველა მოწაფენი ერთი და იგივე ნიჭისანი არ არიან, რატომ ისიც არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ არც ყველა მასწავლებელი არიან აღჭურვილნი შესაფერი ნიჭითა. მაგრამ ამას არც ზემოთ აღნიშნული სტატისტიკის ავტორი მალავს, იგი ამბობს, რომ სასულიერო სასწავლებლებში მოიპოვებიან ისეთი მასწავლებლები, რომელნიც გულ აცრუებით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ძილვე ვიმეორებთ, რომ სასულიერო სასწავლებლების ყველა მასწავლებლებზე არ შეიძლება ვსთქვათ, რომ იგინი უნიჭონი იყვნენ და ან გულგრილად ეკიდებოდნენ თავიანთ მოვალეობას, მაგრამ არც მისი დამალვა შეგვიძლია, რომ ასეთებიც ბევრი მოიძებნება ზოგიერთ ჩვენს სასწავლებლებში.

ავტორი მოგვითხრობს, რომ დღეს ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად არიან აკადემიებში სწავლა დამთავრებული პირნი, რომელნიც (ვითომც) სრულიად მომზადებული არიან, რომ წარმატებით წაიყვანონ თავიანთი საქმე. ძალიან შემცდარია ავტორი, თუ მას უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა დამთავრებული პირები უნაკლოდ მიაჩნია და ჰგონია, რომ ყველა ამ პირებს მოსდევთ მასწავლებლობის ნიჭი და იგინი გულგრილად არ მოვყრობიან თავიანთ მოვალეობას. ჩვენ ვგგონია, რომ საშუალო სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულ პირებსაც, რომელთაც ნიჭი მოსდევთ და ერთგულათ მსახურებენ, შეუძლიათ ოთხ-კლასიან სასწავლებლებში წარმატებით წაიყვანონ საქმე. ძაცს თუ ნიჭი არ მოსდევს და ან თუ საქმეს სიყვარულობით


არ ეკიდება, მან ათას უმაღლეს სასწავლებელშიაც რომ დამთავროს სწავლა, მანაც მისგან არა გამოვა რა. აგრეთვე უმართლოდ ბრალსა სდებს ავტორი ოთხ-კლასიან სასულიერო სასწავლებლებში მასწავლებლად ყოფილ სემინარიელებს, რომლებიც, ავტორის აზრით, სწავლების საქმეში ხმარობდნენ «ბარბაროსულ» საშუალებათა. დიდიხანია, რაც ეს «ბარბაროსული» საშუალებანი ხმარებიდან გამოვიდნენ, მაგრამ უმეტესობა ამ ყოფილ მასწავლებელთა მოხერხებით და წარმატებით ასრულებდა თავის საქმეს, რასაც ამტკიცებს ის, რომ ბევრი მათგანი ქების ღირსი გამხდარა ხოლმე სემინარიის სამმართველოსაგან. ამასვე მოწმობენ უწმიდესი სინოდისაგან გამოგზავნილი რევიზორები, რომლებიც თავიანთ ანგარიშებში არა ერთ გზის იხსენიებენ, რომ სემინარიელი მასწავლებლები წარმატებით ასწავლიანო. ამ მასწავლებლებთაგან ბევრს დღესაც დიდი მოწიწებით და სიყვარულობით იხსენიებენ მათ მოწაფეებად ყოფილნი. აკადემიელ მასწავლებლებს ჯერ კიდევ იმდენად არ გამოუჩენიათ თავი სწავლების საქმეში, რომ ასე მალე დაამცირონ თავიანთ წინამოადგილეთა—სემინარიელების ღირსება. საქმე იმაშია, რომ როგორც აკადემიელებში, ისე სემინარიელებში ბევრი ისეთები მოიძებნებიან, რომელნიც სრულებით არ არიან მომზადებულნი მასწავლებლობისათვის სასულიერო სასწავლებლებში. აკადემიებში სწავლა დამთავრებულთ ყველას მასწავლებლად ნიშნავენ, მაგრამ განა ყველა მათგანს შეუძლია მასწავლებლობა? ანუ ყველა იმათგანს აქვს მოწოდება ამ მოვალეობისადმი? და ამ მოწოდებას ხომ უმთავრესი ადგილი უკავია ყოველ საქმეში! თვით სწავლების საქმეც დაბალ სასულიერო სასწავლებლებში დიდ და საინტერესო ასპარეზს არ შეადგენს აკადემიაში სწავლა დამთავრებულ პირთათვის. ძაცს, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში უსწავლია ფილოსოფია, ლათინ-მეტყველება და სხვა უმაღლესი საგნები, კურსის გათავების შემდეგ ნიშნავენ ოთხ-კლასიან სასწავლებლებში ბერძნულის, ლათინურის და ან სხვა რომელიმე საგნის მასწავლებლად და ისიც ხშირად საღმე მიყრუებულ ადგილს. ასეთი

დანიშნა ბევრისათვის საინტერესო არ არის, და ამიტომ ხშირად აკადემიელი თუ ჩიება ასეთ სასწავლებლებში, ისიც საჭიროებისათვის, რომ საეკლესიო სამსახური შეასრულოს. ამის სამწუხარო შედეგი ისაა, რომ აკადემიელი მასწავლებლები დიდ ხანს არა ჩიებიან ერთსა და იმავე სასწავლებელში, რაიცა დიდად აბრკოლებს სასწავლო საქმეს.

არც მისი დამტკიცება შეიძლება, რომ სკოლა სრულებით დამნაშავე არ იყოს მოსწავლეთა სასწავლებლებიდან გამორიცხვის საქმეში. ამის მიზეზი ისაა, რომ ფორმალურად ვეკიდებით მოწაფეებს. მეტად მცირე ყურადღებას ვაქცევთ, რომ მოსწავლეებში აღძრათ სიყვარული და ლტოლვა განათლებისადმი. ჩვენ თვითონ ვგრძნობთ, რომ ეს შრომა არც ისე ადვილია, რადგან საქმე გვაქვს 10-14 წლის უმწვერვლებთან, მაგრამ განა სხვა რაიმე საშუალება არ არის? ყოველ შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია აღძრას მოსწავლეში სიყვარული განათლებისადმი.

მოსწავლეთა არა მცირე ნაწილს რიცხავენ სასწავლებლებიდან ცუდი ყოფა-ქცევისათვის. მართალია, რომ ამ გამორიცხულებში ბევრი გაუსწორებელი არიან და ამიტომ სრულიად ღირსნი არიან ამ გვარი დასჯისა, მაგრამ განა ყველანი ასეთები არიან? უნდა გამოვტყდეთ, რომ ბევრ ჩვენ სასულიერო სასწავლებლებში აღზრდის საქმე ხეირიანად არ არის დაყენებული.

ხშირად ხდება, რომ შეგირდის გასწორებას სრულებით არ თქვამენ, არამედ მარტო სჯიან. ზოგ სასწავლებლებში სრულებით არ არიან მოწაფეებს და არ უხსნიან მათ, თუ რა ვნება წარმოსდგება ზოგიერთი ეშმაკობისა და ცუდი საქციელისაგან.



ეკლესიის მწვემის მოქმედება და მოღვაწობა სამსახურთა სხვა-და-სხვა გზარ მდგომარეობათა და საჭიროებათა მიხედვით.

მწვემის უნდა ზრუნავდეს ყველაზედ, ვინც კი მის სამრევლოს წევრს შეადგენს: როდესაც მას ეკლესია ირჩევს და აყენებს მეტყველ ცხოვართა მწვემსა, — მას ვალდ სდებს, რომ იგი ზრუნავდეს ყოველ ცხოვარზედ ერთნაირად; თითოეულ მათგანს აძლევდეს ყოველივე შემწეობას, ყველას იფარავდეს განსაცდელისა და საშიში მდგომარეობისაგან და ზრუნავდეს შემოკერთოს ხელ-ახლად თავის ცხოვართა ისინიც, რომლებიც მოშორდნენ ან მოტაცებულ იქმნენ ვინმე მტაცებლისაგან. ეკლესიის სურვილი და მოთხოვნილება რომ რიგიანად შეასრულოს მდგდებამა, როგორც მამამ და ხელმძღვანელმა სამწყსოთა, მისთვის, რასაკვირველია, არ კნარა მარტო საზოგადოთვალყურის დევნება ცხოვართა თვისთა. მოვალეობა და სიყვარული უნდა აიძულებდნენ მას, რომ იგი არა მარტო შორიდან უყურებდეს მრევლს, არამედ მჭიდროდ თავის თითოეულს სამწყსოს წევრს დაუახლოვდეს და ესრეთი დაახლოვებული კავშირი და დამოკიდებულება დაიცოს სამუდამოდ. მწვემსებრივი მზრუნველობაც იმაში მდგომარეობს უმეტესად, რომ მწვემის ზრუნავდეს კერძოდ მითოეულს სამწყსოზე და არა საზოგადოდ მარტო მთელს მრევლზე. თანახმად მოციქულის სწავლისა, მწვემის, მზრუნველი მთელს მრევლზედ, იმავე დროს უნდა გამოიკვლევდეს და იძიებდეს, თუ რას საჭიროებს თითოეული მისი სამწყსო და ამისადაგვარ უნდა ზრუნავდეს მისდამი რწმუნებულ სულიერ შეილთათვის და თითოეულ მათგანს აძლევდეს ან დარიგებას, ან ნუგეშს, ან გამხნეებას იმისადაგვარ, თუ ვინ რას საჭიროებს. მწვემს არასოდეს არ უნდა დაავიწყდეს ის მაღალი და დიდი ფასი ადამიანის სულისა, რომლის გამოსასყიდლად დანთხეულ იქმნა ძვირფასი სისხლი უბიწო და უწმიდესი კრავისა — იესო ქრისტისი (1 პეტრ. 1, 19). მწვემის, დადგენილი ამა სულის დასაცველად, რომლისათვის ასეთი ძვირფასი სასყიდელი არის მიცემული მაცხოვრისაგან, არ დაზოგავს არც ზომას, არ შეუშინდება არავითარ დაბრკოლებას და სიძნელეს, რათა გაუადვილოს რწმუნებულ მისდამი

სამწყაოს გზა ცხოვრებისა და შეუმსუბუქოს მან ცხოვრების მიიმე ტვირთი. ძველ აღთქმაში უფალი ღმერთი წინასწარმეტყველის სატყვეთ უბრძანებს საწმენდების მცველთა ხალხში, რომელთაც იგი უწოდებს ისრაელთა სახლის დარაჯთა, რომ მათ ყველა ცალკე-ცალკე დაარიგონ და მართლ გზაზედ დააყენონ, თუ საქაროება მოითხოვს, რათა გადაარჩინონ ისინი საშიშროს და დამლუბველი ნაბიჯისაგან,—და მათ, რომელნიც ამ ბრძანებას გადაუდგებოდა და არ ასრულებდა, ემუქრება იმ პირთა სისხლის გადახდევინებას, რომელნიც დაიღუპნ მათი დაუღვერობით. ვრქვა წა მე უსჯულოსა სიკვდილით მოკვდამა და ანა თუ განკაც-წა იგი, არცა ვრქვა განკაცება უსჯულოსა, მოქცევა მასსა გზათაგან მისთა ცხოვრებად მისსა, უსჯულო იგი უსჯულოებითა მისითა მოკვდეს და სისხლი მისი ხედის: გან შენისა გამოვიძიო. ხალა უკეთუ შენ განკაც-წა უსჯულო და ანა მოქცევით მოიქცეს უსჯულო-ღისგან მისისა და გზისგან მისისა, უსჯულო იგი უსამართლოებასა შენა მისსა მოკვდეს, და შენ სულა შენა გან-რინო. (ეზევ., 18—20).

ახალ აღთქმაშიც ითხოვება მწყემსისაგან ზრუნვა კერძოდ თითოეულს კაცზედ (ეფ. IV, 12—13). ძველანი, ვინც კი შეადგენენ მრევლს, ერთნაირი წევრნი არიან ეკლესიისა ანუ ქრისტეს სხეულისა, როგორც ამბობს მოციქული, და თუ რამეთი იტანჯება, ანუ რამე საქაროება აქვს რომელიმე წევრს, იმას უნდა მიეშველოს საშველად ის, ვისაც მინდობილი აქვს მთელი სხეულის მართვა. როდესაც პავლე მოციქული თავის სამწყემსო ეპისტოლეებში აძლევს დარიგებას ტიმოთესა და ტიტეს, თუ როგორ უნდა ასრულებდნ ისინი თავიანთ სამსახურს, იგი მოითხოვს მათგან, რომ იგინი თითოეულად დაუყვირდნ ყველა საქაროებას და დარიგება და მოძღვრება მისცენ მათ შესაბამ საქაროებათა და პირადი ხასიათისა. ის ასწავლის მათ, თუ როგორ უნდა მოექცენ მოხუცებულ კაცს, მოხუცებულ ქალთა, ჭაბუკთა, ნორჩთა, რა უნდა ასწავლონ მონათა, მდიდართა (1 ტიმ. V შეად. ტატ. II), როგორ უნდა დაიჭირონ თავი მასწავლებელთა შესახებ და იმ პირთა, რომელთაც უყვართ ამაო დევა და ქრწი (ტიტ. III, 9, 8) და სხვ...

«მწყემსი»-ს კორამსკონდენსია

გორის მაზრისაგან.

მამა იენის რკინის გზის მატარებლით წაბრძნდა თუილისილამ მისი მაღალ ყოვლიად უსამღველოესობა საქართველოს ექსარხოსი, არქიეპისკოპოსი პალლადი გორის მაზრის მდ. ლესტრას ხეობაში მდებარე საფლგების კასპისა, სამთავისისა, ჭალისა და საკორინთლოს ეკლესიების დასათვლიერებლად. თუილისილგან მათ მეუფებას გაჰყენენ გენერალ-ლიტენანტი თავადი ი. ბ. ამილახვარი, როგორც მებატონე იმ ხეობისა, არქეოლოგი დ. ზ. ბაქრაძე და ეპარქიალურა არქიტექტორი ბალთელდი შესამოწმებლად ძველისა და ჩინებულის სამთავისის სობოროსისა, რომელშიაც სახურავის სიძველისა გამო ჩადის წყალი. კასპის სადგურზედ ექსარხოსს მიეკვებნენ თავადნი მრისთაენი და ამილახვარნი, ადგილობრივი ბლაღოჩინი, მახლობელი მღვდელნი, საფლის კასპის წარმომადგენელი და მრავალი ხალხი. აქედგან ეტლებით გაემგზავრნენ ხეობისაკენ მშვენიერს გზატკეცილზედ, რომელიც ვაკეთებულა გენერალის ი. ბ. ამილახვარის თავოსნობით. შემდეგ კასპის ეკლესიის დათვლიერებისა, მათი მეუფება მობრძანდა სამთავისის სობოროში, რომელიც შორავს კასპის სადგურს რვა ევრსით. იქ, ციხის კარებთან მათ მეუფებას მიეგებნენ გორის მაზრის თავად-აზნაურთ წინამძღოლი ი. დ. სულხანოვი, მომრიგებელი შუამავალი თავადი ი. მ. მრისთავი, მაზრის უმფროსი ნ. პ. ალანდერი და სხვანი მრავალნი თავადნი, აზნაურნი და გლეხნი. აქ ბ. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მის მაღალ-ყოვლიად-უსამღველოესობას გამოუცხადა გორის მაზრის თავადთა და აზნაურთა სინარული მათი მობრძანებისათვის და მასთან მადლობა მოახსენა მათ მეუფებას გულწრფელის და მღვდელ-მთავრულის მამობრივის განწყობილებისა და თანაგრძნობისათვის საზოგადოდ საქართველოს თავად-აზნაურთადმი. ციხის კარებიდან ეკლესიის კარებამდინ მთელი ბილიკა მოუენილი იყო ვარდით და სხვა და სხვა ყვავილებითა. ეკლესიაში, შემდეგ ჩვეულებრივის შეგებებისა, მისმა მაღალ ყოვლიად უსამღველოესობამ თავყენი სცა საფლგისა წმიდისა ისიდორესასა, რომელი იყო მეექვსე

საუკუნის ათ ცამეტთა სირიიდან მოსულ საქართველოში ქრისტიანობის განსამტკიცებლად წმიდათა მამათაგანი, და დაწერილებით დააოგალიერა ეკლესია. ეს ტაძარი არის აღმშენებელი მეთერთმეტე საუკუნეში, შიგნით კედლები ოდესმე ყოფილან სრულიად დახატულნი წმიდანების სურათებითა, მაგრამ ეხლა მარტო გუმბათში და საკურთხეველშია არის მხატვრობა გადარჩენილი, სხვა ადგილები კი სადათ გაუთეთრებიათ. კედლებზედ დახატულ წმიდანებს აქვს წარწერა ქართულად და არაბულათ. მხატვრობა არის მეუთუხმეტე საუკუნის ხელოვნებისა. გარედგან კედლები არიან ნაშენი თლილის ქვისაგან. მრგვალი კვა არის ნახშირი; პირველ გვარი კვა, რომლისაგან თავდაპირველად აღმშენებულია ტაძარი და მეორე, რომლითაც განუახლებიათ იგი მეთხუთმეტე საუკუნეში. მთხივე კუთხის კედლების ქვებზედ ბევრგან არის ეკლესიურის ასოებით წარწერანი, რომელთა შორის მეთერთმეტე საუკუნისანიცაა. მშენიერი მოყვანილება ტაძრისა, შესაფერისი სიგრძე, სიგანე და სიმაღლე, კეკლუცი გუმბათი, კარებების ბქვებზედ კედლების ქვისგან სისწორით გამოყვანილს ჯვრებზედ საკვირვლნი ჩუქურთმანი, რომელთა დახატვა ქალაღზედაც კი საძველოა, ეხლა გვიმტკიცებენ, თუ რა აღმატებულს სისრულეზედ ყოფილა იმ დროს საქართველოში ხელოვნება. შ. ბაქრაძემ სთქვა: «ამისთანა ხელოვნება არ მინახამს არც ათონსა, არც საბერძნეთში, და არც სტამბოლშიაო, მაშასადამე, ეს ხელოვნება უნდა იყვეს ქართველთა და არა ბერძენთაო». სართული ტაძრისა ყოფილა პირველად ლომთინისა, უკანასკნელ დროს კი დაუხურამთ ყესითა, რომელიც დაქანგებულა, გაცხავებულა, ზოგან ქარისაგან ახდია და ამის გამო წვიმას თავისუფლად უდენია ეკლესიაში. ეხლა ტაძარს ხურვენ კრამიტათა; მესამედი ნაწილია არის დასახური. და, თუ ეს მალე არ დახურეს, დიდი ზიანი მიეცემა თაღებსა. აქედგან მისი მალალ ყოვლად უსამღედლოესობა წაბრძანდა სოფელს ჭალას, რომელიც შორავს სამთავის ვერსს ნახევრით. აქ დაათვალიერა ორი შტატის ეკლესია, რომელნიც არიან შენობით მცირედნი, ერთი იმთაგანი არის შესანიშნავი მით, რომ იქ ასვენიან ძველნი ხატნი მრავალ ნაწილოვანი და თვით ის ხის ჯვარი, რომელნიც აღმართა მოციქულთ-სწორმა საქართველოს განმანათლებელმა წმ. ნინამ მცხეთის პირ-და-პირ მდ. არაგვს გაღმა მთაზედ, სადაც ეხლაც სდგას ჯვარის ეკლესია. ამ ჯვარშიაც ასვენიან წმიდანი ნაწილნი. ჰალიდგან

ექსარხოსი წაბრძანდა სოფელ საკორინთლოს, ეს სოფელი შორავს ჭალას ორი თუ სამი ვერსით, მაგრამ რადგან პირ-და-პირ წასვლა არ შეიძლებოდა ეტლითა უვზობისა გამო, შორს მოუარეს. იქ არის პატარა კეიტკირის ეკლესია, ახლად აღმშენებული და კრამიტით დახურვილი, მაგრამ, სამწუხროდ, ისრე უხვიროდ აღმშენებული, რომ ეხლაც დარღვევა თაღები და წვიმისაგან დასველებია და საჭიროა ხელ-ახლად გადახურვა. სადაც კი მიბრძანდა მისი მალალ ყოვლად უსამღედლოესობა, ყველგან ურიგებდა ხალხს პატარა ჯვრებსა და აძლევდა მღვდელ-მთაერულს დარიგებასა. ყველგან ხალხი აღტაცებით ეგებებოდა და სასოებით იღებდა მათი მეუფებისაგან ლოცვა-კურთხევასა. შემდეგ სადილის მირთმევისა სოფელ ჭალაში თ. ი. გ. ამილახვართან, და ს. კასში ჩაის მირთმევისა თ. დ. ი. ამილახვის სახლში, იმავე დღეს რკინის გზის მატარებლით ექსარხოსი დაბრუნდა ქ. თფილისში.

ა. ნ.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

სახუმიდგან.

მთელი სახუმის ეპარქია შესდგება ოთხი საბლალოჩინო ოლქისაგან: ოქუქისა, ოჩამჩირისა, გუდაუთისა და შავი ზღვის ოლქის საბლალოჩინოსაგან. ოქუქის საბლალოჩინო იწყება მდინარე გურუიდან და თავდება ილოარის წმიდის გიორგის ეკლესიით. ამ საბლალოჩინო ოლქის ყველა მცხოვრებნი მართლ-მადიდებელნი არიან. მათში მაჰმადის სარწმუნოების აღმსარებელი არ მოიპოვება. ქრისტიანობას აქ მტკიცედ აქვს ფესვი გადგებული. სამწყსოს და სულიერ მწყემსთა შორის მამა-შვილური განწყობილება ზ სიყვარული არსებობს. სარწმუნოების მხრით აქაურებზე დიდი გავლენა აქვს სამეგრელოს. ოქუქელები მოსაზღვრენი და მეზობელნი არიან მეგრელებისა. ოქუქელები მეგრელებისაგან იღებენ ზნე-ჩვეულებას და ამ ორივე ხალხს ხშირი მისეულა-მოსელა აქვს ერთმანეთში. მათში განშირებულია ხორციელი და სულიერი ნათესაობა. ამ საბლალოჩინოში დღეს გახსნილია 13 საეკლესიო-სამრევლო


სკოლა, რომლებშიაც ყმაწვილებს წერა-კითხვას და სარწმუნოების ზირველ დაწესებით ქვეშაობრივობათ ასწავლიან.

ოჩამჩორის ანუ კოდორის საბლალოჩინო მდინარე ილოარიდამ უწევს მდინარე კოდორამდე. ამ საბლალოჩინოს მკვიდრთა შორის დღესაც ბევრნი აღიარებენ მაჰმადის სარწმუნოებას. აქ ქრისტიანობის გავრცელების საქმეს მეტად აბრკოლებენ თათრები და მარჩიელები. გუდაუთის საბლალოჩინო მასრა მდებარეობს შავი ზღვის პირას და საკმაოდ ვრცელია. სამწუხარო ისტორიულ უბედურებათა გამო ამ საბლალოჩინოში მეტად შემცირებულია ქრისტიანობა. ადგილობრით მკვიდრთა უმეტესობა მაჰმადის სარწმუნოებას აღიარებს, ხოლო მცირე ნაწილი მართლმადიდებელი აღსარებისაა. როგორც აქსურთი თათრები, ისე ქრისტიანები სიტყვით უფრო აღიარებენ თავიანთ სარწმუნოებას, ვინც საქმით. წარსულს წელში ამ საბლალოჩინოში განსვენებული ყბისკაპოსის გენნადის და დეკანოზის დავით მაჭავარიანის მეცადინეობით და შარვაშიძის მეუღლა კნენია ელისბარ დადიანის ასულის დახმარებით ორი ათასმა სულმა მიიღო ქრისტიანობა და მოინათლენ. დღესაც ბევრნი არიან აქ მოუნათლავნი და ესენი დიდად აფერხებენ ქრისტიანობის გავრცელების საქმეს.

ამიტომ საჭიროა, რომ ამ საბლალოჩინოს ოლქის ყველა სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთ მუყაითად მოჰკიდონ ხელი თავის მოვალეობას. აუცილებლად საჭიროა გახსნა სამრევლო სკოლებისა, რომლებშიაც ადგილობრით მკვიდრთა ახალ-თაობას შეეძლოს წერა-კითხვის და საღმრთო სჯულის შესწავლა. მეორედ დიდ შემწეობას აღმოუჩინდა ქრისტიანობის გავრცელების საქმეს მოუნათლავ აფხაზების განშორება მონათლულეებისაგან. ამათში ბევრნი ისეთები არიან, რომელთაც ვერას გზით ვერ მოარჯულებს კაცი და რომელთაც მეტად ცუდი გავლენა აქვსთ გაქრისტიანებულ თანა მოძმეებზე, აგრეთვე საჭიროა, რომ სახორციელო და სასულიერო მთავრობამ მოახდინოს განკარგულება, რომლის ძალით გაქრისტიანებულ აფხაზს არ შეეძლოს მაჰმადის აღმსარებელი ქალის ცოლად შერთვა, აგრეთვე აღკრძალული უნდა იყოს, რომ მაჰმადის აღმსარებულმა არ შეერთოს, ცოლად ქრისტიანე ქალი. თორემ დღეს ერთსა და იმავე ოჯახში ზოგი მართლ-მადიდებელნი არიან და ზოგნი მაჰმადიანები.

შავი ზღვის ოლქის საბლალოჩინოს მკვიდრნი მთლად რუსები არიან, რომელთა შორის მართლმადიდებელ ქრისტიანობას მტკიცედ აქვს ფესვი გაღმული.

მღვ. ი. ხსიძე.



ზორის მაზრის სოფლის შემო-ჭალის სკოლა.

სასიხარულოდ უნდა მიგვაჩნდეს სოფლის სკოლების კეთილ-მდგომარეობა, რადგანაც მათზედ არის დამყარებული სოფლის მომავალი ბედი. მაგრამ, საუბედუროდ, ჩვენში ძნელად მოიპოვება სკოლა, რომელსაც რაიმე მომაკვლინებელი სენი არა სჭირდეს: ზოგან მასწავლებელია უხვირო, არა მცოდნე პედაგოგიური მოთხოვნილებისა: ზოგან სკოლის შენობა არ ვარგა; ზოგან ნივთიერად ღარიბია სკოლა და სხვა და სხვა... სწორედ გავკვირდი, როცა გავიგე, რომ შემო-ჭალის სკოლა ამისთანა ნაკლებეანებათ აცილებული ყოფილა. ეს სკოლა საუკეთესო სკოლად უნდა ჩაითვალოს თბილისის გუბერნიის სასოფლო სკოლებში. სკოლა მდებარეობს ვაკე მინდორზედ, ხაშურის სამხრეთის მხრით, შენობა სკოლისა სუფთად არის მოწყობილი, მასში სწავლობს ას ოც-დაათამდის ბავშვი ორისავე სქესისანი. შევლანი, რომელნიც კი ბავშვების გამოცდაზედ დასწრებიან შემოსხნებულ სკოლაში წელს, გაიძახიან: «ნიჭიერი მასწავლებელი ჰყოლია შემო-ჭალის სკოლას და ამიტომ ბავშვები უცოდინარნი არ გამოვლენ ამ სკოლიდგანა». მადლობა ღმერთსა, რომ ასეთი ქება გავიგონეთ სოფლის მასწავლებელზედ. ახლა გლეხები რა კმაყოფილნი არიან ამ სკოლისა! ისინი ხედვენ, რომ მათი შვილები სხვა თვალთ უცქერიან ცხოვრებასა, სხვა ნაირი გამჭრიახობის ბეჭედი ასვია მათს გონებასა. მსეც, რასაკვირველია, სკოლის ზედგავლენით. ბარდა უფროსის მასწავლებლისა, აქ არის მასწავლებლის თანამემწე და ერთი მასწავლებელი ქალი, რომელიც მოსწავლე ქალებს ხელ-საქმეს ასწავლის. რასაკვირველია, ასეთი კეთილ-მდგომარეობის მიზეზი სკოლის პირველი მასწავლებელია, რომელიც პატიოსანი

შრომისათვის მადლობის ღირსია. აგრეთვე მადლობის ღირსია საზოგადოების მხრით ზემო-ჭალის სამრევლოს მღვდელი მ. სუბიევი, რომელიც უსასყიდლოდ ასწავლის საღმრთო სჯულს სკოლაში და რომელიც საკუთარის ქონებითგან სწირავს სკოლას ორმოც მანეთა დასაკმაყოფილებლად ხელთ-საქმის მასწავლებლის ქალისა! სასურველია, რომ სხვა სოფლის მღვდლებიც და მასწავლებლებიც ზემო-ჭალის მღვდელს და მასწავლებელს მიბაძვდნენ სკოლის რიგთანაჲ წარმოების საქმეში.

X X.

პასუხი მ. ბენედიქტას (ბარკალაიას).

(დასასრული *).

„მწყემსს“ ვერ შეუტყუია, რომ ჩემს მოღვაწეობას როგორც კეთილ-მორწმუნე ერნი, ისე მთავრობა თვალ-ყურს ადევნებს. პირველად ათას რეაქს სამოც-და-ათ წლამდე დიდის მთავრის მიხედვის მიწერილობის ძალით სამეფო გამოძიებული იქმნა კონსტანტინეპოლის ელჩებისაგან, გრაფის ეგნატიევისა, თავად ლობანოვ-როსტოვსკისა და ნოვიკოვისაგან. შემდეგ 1881 წლისა ბრძანდებოდა ათონში, ჩვენს სავანეში, მთავრობის ბრძანებით, პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი. 1885 წელს მოვიდა უწმიდესის სინოდისაგან გამოგზავნილი დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი სერგეი ვასილის ძე კერსკი და მთავარ-კონსული იასტრებოვი თავის სეკრეტარ დემერიკითურთ. ამავე წელსი ელჩისაგან გამოგზავნილი სეკრეტარი მანსუროვი იყო. უკანასკნელად გასულს წელს დიდ-მარხვის მყოფნი კვირაში ჩვენს სავანეში ბრძანდებოდა დიდად პატივ-ცემული საქართველოს ისტორიკოსი დიმიტრი ზაქარაიას ძე ბაქრაძე, რომელსაც ჩვენი შრომა მოეწონა და ჩვენს სავანეს შესწირა დიდ-ძალი ფული. (?) ვისაც სურს შეიტყოს ჩემგან თქმული ჭეშმარიტება, მიჰმართოს ბაქრაძეს და იმისგან გაიგებს.

ძლიერ შემცდარი ბრძანდებით, მ. ბენედიქტე, თქვენს მოსაზრებაში. ათონის მონასტრების შესახებ ჩვენ უფრო ბევრი ვიცით, ვინემ თქვენ. ჩვენ სრულიად არა ვყოფთ უარს, რომ თქვენგან დასახელდებული პირები ყოფილან ათონის მთაზედ და ზოგიერთ მონასტრების საქმის მდგომარეობაც გამოუყვლევიათ, მაგრამ სრული დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, მ. ბენედიქტე, რომ თქვენი ხსენებაც რომ არსად არ ყოფილიყო, ეს პირები მაინც მივიღოდნენ მთავრობის

მინდობილობით ათონის მონასტრების საქმის მდგომარეობის შესატყობად, რადგან ბერძნისა და რუსის ბერთა შორის კარგი შესანიშნავი უკმაყოფილება გაიმართა. ჩვენმა მართებლობამ თავისი მოწყალე ყურადღება მიაქცია ჩვენი სახელმწიფოს ყველა მონასტრების ბერთა საქმეს და მათ მდგომარეობის გაუმჯობესობას. როდესაც თქვენ ჯერეთ კიდევ ვაჭრობდით და ბერად შედგომა სრულებით სახეშიაც არ გქონდათ, მაშინაც კი მიდიოდნენ სხვა-და-სხვა პირები ათონის მთაზედ ისე სანახავდაც. მრთ დროს ათონის მთაზედ მთავრობის მინდობილებით სანახავად იყო საქართველოს მთავარ-მართებელი მარანცოვიც, რომელსაც დაწვრილებით მოახსენა შესანიშნავმა იმერეთის მეფის მეორის სოლომონ მოძღვრად ნამყოფმა და ბერად შემდგარმა ილარიონ ქანჩაველმა ჩვენი წინა-პარებისაგან აღშენებული მონასტრების ამავე. საღ ბრძანდებოლით მაშინ თქვენ, მამაო ბენედიქტე? აი რა დროიდგან არის დაწყებული საქმე, რომ ივერიელებსაც ჯეროვანი აღვილი მისცემოდათ ათონზე. რუსეთის მართებლობას დიდი ყურადღება ჰქონდა და დღესაც აქვს მიქცეული სხვა მონასტრებზე და ათონისაზედ განსაკუთრებით, მაგრამ ყოველივე ეს ხდება არა მარტო თქვენის მეოხებით...

ბ. ცაგარელი, დ. ჟ. ბაქრაძე და სხვა მრავალიც ყოფილან და დღესაც დადიან ათონზედ. მაგრამ არა ვითომ თქვენი დაწყებული საქმის გამოსაძიებლად და თქვენის მოქმედების შესატყობ. შესამოწმებლად. არა; ცაგარელს ჰქონდა მინდობილება შეეკრიბა ძველი ქართული წარწერები სამზღვარ ვარეთის მონასტრებში სინას მთაზედ, ათონზედ, და სხვაგანაც; დ. ზ. ბაქრაძეს ჰქონდა მინდობილობა ახლად შემოერთებული ბათუმის ოლქის მცხოვრებლების საბუთების პირები მიეღო სათათრეთის მართებლობისაგან; ეს მინდობილობა ბ. ბაქრაძემ კიდევ აღასრულა. თავისუფალ დროს ეს პატივცემული პირი ქონსტანტინეპოლიდამ ათონზედ წავიდა და დაათვალიერა იქაური ყველა მონასტრები. ბ. ბაქრაძეს ჩვენ ზოგიერთი რამე კიდევ ვკითხეთ თქვენს შესახებ, მაგრამ სრულებით არ დაამტკიცა მან ის, რასაც თქვენ ბრძანებთ. ეხლა ვგონებ ცხადია ყველასათვის, რომ ათონის მონასტრების ნახვა ლობანოვის, ონიკოვისა, ბაქრაძისა, ცაგარლისა და სხვათა მრავალთაგან სრულებით არ ამტკიცებს თქვენს დიდს

*) ის. „მწყემსს“ № 11 1889 წ.



ღვაწლს და მეცადინეობას ივერიის მონასტრის ამოგების საქმეში.

ბევრი სხვა რამეებიც ვიცით ჩვენ ივერიის სა-
ეანის დაარსების და აღშენების შესახებ. პიციტო, რომ
თავი და თავი მოღვაწე ივერიის ქართველთა მონა-
სტრის დაარსებისა იყო ბესარიონ ნოდია. ამ კეთილმა
მოღვაწე პირმა ტარასი ეპისკოპოსის ნება-დართვით
თითქმის რვა ათასი მანეთი მობოჭა. ამ ფულებით
იქმნა მოპოვებული საეანისათვის ადგილი და აღშენ-
და ეკლესიაც რუსის მონასტრის ბერების პავლე და
იერონის ხელმძღვანელობით. ამ საქმეში უმეტესი
ღვაწლი აქვს მიღებული ბერებს: ბესარიონს, იმერე-
თის ეპისკოპოსის ძმას, ქრისტეფორეს, გელათის მონ-
ასტრის წინამძღვრის არქიმანდრიტის სერაჟიონის ძმას
და ბრიგოლ რატიანს. ამ პირების მოღვაწეობით
1870 წელში საეანე და ეკლესიაც იყო დაარსებუ-
ლი 30 ძმათაგან. ამ ზემო აღნიშნულმა პირებმა
აგიყვანეს თქვენ მცირე მონაზნობაზედ, ერის კაცად
გაგზავნილი ათონში ერთი პატივცემული პირისაგან.
ბესარიონ ნოდია მოკვდა და მის შემდეგ თქვენ მიიღეთ,
მ. ბენედიქტე, ყოველივე დარჩენილი მონასტრის
ქონება და დამზადებული საქმეები, რა ჰქენით თქვენ?
როგორ წაიყვანეთ საქმე? რამდენი ფულები შეკრი-
ბეთ კეთილ-მნებებელთ შემომწირველთაგან და რო-
გორ მოიხმარეთ ეს შეწირულება? ამაზედ, სრული
იმედია, ანგარიშს მისცემთ საზოგადოებას. ერთმა
პატივცემულმა მწერალმა გვითხრა ამ დღეებში:
«ძლიერ საძნელოა ამისთანა ანგარიშის მაცემა. ჩვენ
ვიცით, რომ ბ. ბ.—ძეს ბენედიქტემ სამი ათასი მანე-
თი მისცა აპველაციის დასაწერად; როგორ შეუ-
ძლია მას, რომ ეს გამოაქალოს?» ძლიერ გაგვაკვირ-
ვა ჩვენ ამ სიტყვებმა. რატომ არ შეიძლება განცხა-
დება ამ ხარჯისა, თუ კი მართალია? არ შეიძლება,
რასაკვირველია, თუ ეს აპველაცია სამი ათასი კი არა
სამ თუმნადაც არა ღირს!.. მართლა დიდი სიფრთხი-
ლე უნდა კაცს, რომ ფულები რიგინად დახარჯოს.
ჩვენ ბევრი «აპველაციები» გვინახავს გაყალბებული
და მათი დაწერისათვის ფულებს ფუჭად ჩაუვლიათ...
მაი თუ ვსევდებ დაემართოს ამ აპველაციასაც.

მართალია, მე ნათესავები მუჟანან გარდა სავანის ბერებისა.
ჩემის მშობლების ნაშობნი არიან ორნი ერის კაცნი, მაგრამ
იმათ მამა-მამის დანარჩენი თავისი წილი მამული აქვთ
და ჩემი წილი გაუიღვლი მაქვს და ის ფულიც სავანეს
შეგსწირე, როდესაც ბერად შევადექი.

მალაქს ქუთაისში ესრეთ წოდებული გელის
სახლი თქვენი მამა-პაპის დანაშთენია? მინ იყიდა ეს
მამული და როდეს? გალმა სლობოდკისკენ რომ
სახლია, რომელშიაც თქვენ ხშირად დგებით ხოლმე,
ვისი ნაყიდა იგი და როდეს? ძლიერ სა-
ინტერესო იქნება შეგვატყობინოთ: თქვენი მამულე-
ბი ვის მიყიდეთ, სად შესრულდა ნასყიდობა და რა-
მოდები ფულები მოგცეს იმ მამულეებში, რომელიც
ვითომც საეანეს შესწირეთ ბერად შედგომის დროს?

მეაფე გვარის კაცები და არა ნათესავები სამეგრელოში,
რომლებიც ჩემს ბერად შედგომამდისაც მდიდრები იყვნენ
და დღესაც მდიდრები არიან.

ლქერთმან ბერი მისცესთ! მან ედაეება მათ? ჩვენ
სრულებით არ ვკითხულობდით მათ ქონებას და
რა საჭირო იყო ამაზე ბაასი.

სანამ ხელმწიფე იმპერატორისა და მორწმუნე ერის შემწე-
ობით დაკარგულს ივერიის მონასტრეს ამოვიგებდეთ ძმათა სა-
ზრდოებისა და სავანისათვის, მართალია, საჭიროა წისქვილე-
ბი, მამულები, მაგრამ მე არსად მახსოვს მქონებოდავს გასეს-
ხებული ფულები და ნასყიდი მამულები.

მ. ბენედიქტეს ბევრისათვის უთქვამს და დაუჯერებია
კიდევ, რომ მამულებს ვიძენ, მაგრამ რადგან მონ-
ასტრის სახელზედ არ მოხერხდება ნასყიდობის შესრუ-
ლება, მონათესაეების სახელზედ ვასრულებო და შე-
მოსაეაღს მონასტრეს ვახმარო. ეს შეგვიძლია ჩვენ
დაუმტკიცოთ მ. ბენედიქტეს, თუ ამას საჭიროდ
დაინახავს იგი.

მამაო ბენედიქტე, ერთ კაცს რომ «ისპოლნი-
ტელნი ლისტი» ფულებს ახთევიანბლი სენაკის მაზ-
რაში და ეს ლისტი რომ გაგზიბათილეს, რადგან ბერს
არა ჰქონდა უფლება ფულების გასესხებისა, შემდეგ
რომ ამაზედ საჩივარი შეატანეთ ქუთაისის ოლქის
სასამართლოში და იქაც რომ უარი ვითხრეს, ნუ
თუ ესეები აღარ გახსოვს? ნუ თუ სხვა საჩივრები
ფულების ამოგებაზე სხვა-და-სხვა სასამართლოებში
შეტანილი სულ დაგავიწყდათ და აღარც ერთი აღ-
არ გახსოვსთ? შეგიძლიათ დღეს თქვენ გახედვით გა-
მოაცხადოთ, რომ თქვენი ფულები არავის მართებს?..

ჩვენ სრულებით არ გედავებით თქვენს ფულებს
და მამულებს! ღმერთან მრავალი მოგცეს. მამ-
მულებიც კარგი გაქვს და ფულებიც ბევრი გაქვს;



შეწირულებასაც საკმაოდ გიგზაენიან ზოგს პირ-და-პირ და ზოგს მუთათისის ვაჭრის ა—იას სახელწოდებით, მაგრამ რა საჭიროა ამათი დაფარვა. მის რა ხელი აქვს მათთან?

საზოგადოება დარწმუნებულია, რომ თქვენს შემდეგ ყოველივე თქვენგან შეძენილი თქვენგან ამოგებულ ივერიის მონასტრის დარჩება....

მათავეთ ჩვენს საუბარს მ. ბენედიქტესაგან აღძრული კითხვების გამო. მარწმუნებთ მ. ბენედიქტეს და ყველას, რომ ჩვენ სულით და გულით თანა ვუგრძნობთ ყველა მამულის მოღვაწეთა მათგან დაწყებულ კეთილ საქმეში. ჩვენ სულით და გულით ვინატრით, რომ საქართველოს დაუბრუნდებოდეს სამზღვარ-გარეთის ყველა მონასტრები იერუსალიმში, სინას მთაზე და ათონზე. ბულით და სულით ვინატრით, რომ ნაცვლად ბერძნის ბერებისა ჩვენ მიწის შვილების—ქართველი ბერებით გაიფხვრებოდეს ათონის და იერუსალიმის მონასტრები. ბულით და სულით ვინატრით, რომ ყველა ქალაქები, რომელნიც ოსმალთაგან ჰქონებია წაგლეჯილი საქართველოს, დაგებდნენ და დაეხმარებოდნენ უკანვე და ყველა დანგრეული ტაძრები ხელ-ახლად გაბრწყინდებოდნენ, მაგრამ როგორ შეიძლება ყველა ამისი ასრულება? მარტო ჩვენის სურვილით და ბ. ბ.—საგან დაწერილი აპელაციებით? მეტი შენს მტერს ნუ ასრულებია სურვილი!.. ეს არის ისტორიის საქმე და საზოგადო სახელმწიფოების პოლიტიკური მდგომარეობის შედეგი. მინ არ იცის, რომ კონსტანტინეპოლი ქრისტიანების იყო! მინ არ იცის, რომ ამ ქალაქში თათრებს არაფერი არ ჰქონებიათ, რაც ძალით არ დაიპყრეს იგი... ეს ხომ ცხადია ყველასთვის, და რატომ არა აქვს თათრებს იმდენი ჩამუსი, რომ ქრისტიანების ქალაქი დასტოვონ და წავიდნენ იქ, საიღამაც მოვიდნენ!.. რამდენიც გინდათ, იმდენი აწერინეთ აპელაცია ამ საქმეზე ბ. ბ.—ძეს, გარწმუნებთ პატიოსანი სიტყვით, რომ თათრებს კონსტანტინეპოლიდამ ვერ გადენით. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ თათრები იქნებიან განდევნილი სტამბოლიდამ და ათონიც ქრისტიანებს დარჩებათ თავის მამულებით, მაგრამ ეს მოხდება არა თქვენგან შეტანილი აპელაციებით. ივერიის მონასტრის ძმათა მდგომარეობა ისე გაჭირვებულია დღეს, რომ მეტის მეტს თანაგრძნობას და დახმარებას ითხოვს საზოგადოებისაგან და ამისთანა დროს სამიათისი მანეთობით აპელაციებზე ხარჯვა უადგილოთ მიგვაჩნია. მარწმუნებთ მ.

ბენედიქტეს და ყველას, რომ ყოველივე ის, რაც ესთქვით, ესთქვით სიმართლის აღსადგენლად და სავანის ბერების გაჭირვებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ჩვენ დიდ მადლობას განუცხადებთ მ. ბენედიქტეს, თუ იგი გულ დასმით გაამტყუნებს ჩვენს მოსაზრებას და დაგვიმტკიცებს, რომ ჩვენ შემცდარი ვართ ყველა იმაში, რასაც ვუიქრობთ და რაც ესთქვით მაზე. ჩვენ დიდს სიამოვნებით მივიღებთ და დაგვიმტკიცებთ მის პასუხს და ანგარიშს ჩვენს გამოცემაში ერთი სიტყვის გამოუკლებლად, თუ პირ-და-პირ აღძრულ სიტყვებზე ავებს პასუხს. რა საჭიროა სხვა საერო გაზეთების რედაქციებში სიარული და თხოვნა? რა საჭიროა იმისთანა წერილების გამოგზავნა, რომელიც მან გამოგვიგზავნა ჩვენ ფოსტით სენაკიდან 27 ამ თვეს. რა საჭიროა მუქრობა და სხვა-და-სხვა და სხვა... განა შეშვენის ეს ბერს? ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ მ. ბენედიქტე არ გვაიძულებს მეტის თქმას და წერას.

დეკ. დავით დაბბაშიძე.

საისტორიო მასალა.

1650 წელში საქართველოში მოგზაურობა მეფის ალექსი მისხაიას ძის მიერ გამოგზავნილ დესპანთა იმერეთის მეფე ალექსანდრესთან და ამ დესპანთაგან გელათის მონასტრის და ქუთაისის ბავრატის ტაძრის აღწერა და ამ ტაძრებში მათგან ქათალიკოსის წინაგის მოსმენა.

(გაგრძელება *).

«რცელა რვა იენისს გამოგვიგზავნა მეფე ალექსანდრემ გარეუბი და ცხენები, რომ კსლებადით მას სსსახლეში. ჩვენ მაშინვე წავედით; რადესაც სსხლს მიუხლოჯდით, ჩვენ შეკავჩეყეს ესოში. ცოტა ხნის შემ-

*) ის. «მწვემსი»-ს № 11.



დეგ წაგვიყვანეს სასახლეში. სასახლეში ვეკლავი იხე იყო მარტული, როგორც წინეთ. მეფე ტახტზედ ბრძანდებოდა, მის მარჯვნივ იხედენ ქათალიკოსი და კარის სხვა დიდკაცობა, ჩვენ გვიბრძანა მარცხნივ დასხდომა ახლეს. თავად აზნაურობა ზოგნი მარჯვნივ იხედნენ და ზოგნი მარცხნივ. მეფე ალექსანდრეს ჩვენ მაღლობა შევსწირეთ პატრიარქისა და მისი ურადლე-ბისათვის. მეფე ალექსანდრემ გვითხრა ჩვენ: «თქვენ მოხვედით აქ მოსკოვიდან, საიდგანც გამოგზავნათ ჩემთან მეფე ალექსი მისაილის ძემ და მომიტანე მისი მშვიდობის ამბავი და მისგან გამოგზავნილი საჩუქრები; მოსასხამი და სხვას... ძლიერ მამა მისი მშვიდობის ამბავი და საჩუქრებისათვის გუფით ვმადლობ. ამო გარდა გაქვით თუ არა თქვენ რაიმე დაბარება მეფესაგან და ანუ სათქმელი?»

ნიკოფორემ მოახსენა მეფეს:

«სელწიფეო, თქვენ ამას წინეთ გამოგვგზავნათ დეს-პანი მოსკოვში მეფე მისაილის ძესთან იგუმენი ბასი-ლი და ერთი კიდევ სხვა კაცი დავითი. იგინი მოვიდ-ნენ მეფესთან, თავი დაუტყნ მას, და მათი დიდებულების მშვიდობა იკითხეს. თქვენს მაგერ მოაკითხეს მეფე და სთხრა მას, რომ მთელი იმერეთის სამეფო იყოლიოს თავის ძლიერ მარჯვენის მთარველობისა ქვეშე, დაიცვას იგი და დაიფაროს ვეკლა მის მტერთაგან. დადმა სელმ-წიფემ, მეფემ და დიდმა მთავარმა ალექსი მისაილის ძემ, მთელი რუსეთის თვითმზერობელმა თქვენი უმად-ლესობის გომოტა მიიღო და, როცა სწრა თქვენი შევიწროება მტერთაგან, ძლიერ უწინა და ისურვა, რომ მთელი თქვენი ქვეყნა დაიცვას თავის მძლავრა ხელითა და დაიცვას იგი მტერთაგან; ხოლო თქვენი ცავზავნილი დესპანი დასაჩუქრა და გამოისტურა თქვენთან უბანე.»

ამის შემდეგ მდივანმა ალექსიმ მოახსენა მეფე ალექსანდრეს:

«თქვენ, მეფე ალექსანდრე, ჩვენ მეფის ალექსი მისაილის ძისგან გამოგზავნილთა დესპანთა კეთილად მოგკვეცივით; ემთხვათ მისი დიდებულების ალექსი მისა-ილის ძის ჯვარსა. ესლა საჭიროა ხელი მოაწეროთ თქვენ და თქვენმა შვილმა და თქვენის უმადლესობის მახლობელთა შერთა იმ წერილზედ, რომელიც გამოტანე-ბული გვაქვს მოწველე ხელმწიფის ალექსი მისაილის-ძისგან, ასე რომ თქვენ, ალექსანდრე მეფე, თქვენი შვი-ლები და შვილი-შვილები და შთამომავალი იქმნებათ სე-

ლმწიფის მძლავრ მთარველობისა ქვეშე განუშორებლად და სხვას არავის არ შეუერთდებით, და, როდესაც ეს წერილი ასე ხელმოწერილი მიერთდება მეფეს, ძლიერ სასიამოვნოდ დაუჩნება იგი მასს.»

ამ სიტყვების დროს მეფე ქედმოხდილი იყო და ღვთისმშობლის სატს უეურებადა. როდესაც დავასრულეთ ჩვენი სიტყვა მეფე ალექსანდრემ შირზე ჟვარი გამოიხა-სა და სთქვა:

«მე სრულებით არ ვიცნობდი რუსეთის მეფეს, მაგრამ გავიგე საქართველოს მეფის თეიმურაზისაგან, ჩემი სიმამრისაგან, მოსკოვის სამეფოზე, გაგზავნე დესპანი და მანაც გამოგზავნათ თქვენ და, როგორც არ გითხარით, სასიამოვნოდ დამიჩნა. მე თანახმა ვარ, რომ არავის არ მივეკედლო და ნადავც მასთან, მეფე ალექსი მისაილის ძესთან კეთილ განწყობილებით და ერთგულად ვიყო და სრული იმედი მაქვს, რომ შემიწევა და მო-მესმარება ჩემი მტრების წინააღმდეგ, განსაგუთრებით გათათრებული თავადი ლეონტი დადიანის წინააღმდეგ, რომელიც გადუღვა თავის საწმინტობას და მეტობობა დაიკავა თოტობთან. ამისთანა კეთილი საქმისათვის დმერთმან მისცეს ალექსი მისაილის ძესა მოწყალება და მის სახელმწიფოსა უოკელი კეთილი.»

ამის შემდეგ მეფემ მიგვიანლოვა თავასთან და ჩუ-მად გვითხრა: «თქვენა გსურთ, რომ მე, ჩემმა ძმამ და შვილმა ხელი მოკაწროთ ქალაქზედ, რომელიც გა-მოგზავნილია მეფის ალექსი მისაილის ძისგან? ჩვენ სრული თანახმა ვართ დავასრულეთ მისი ნება და სუ-რვილი, მაგრამ ცოტა მოითმინეთ თქვენ თქვენს ბინა-ზედ და შემდეგ დავბარებთ კიდევ. ჩვენ სადგომზედ გამოგვიგზავნეს აურბელი საჭმელ-სასმელი.»

29-ს ივნისს მეფემ გამოგვიგზავნა ბოქაული მა-მუკა ჟაფარიძე, რომელმაც გვითხრა, რომ წიკვა მოგვესმანა ქუთაისის დიდ საკრებულს ტაძარში. ამ დღეს წირვასეად წასასვლელად მშვენიერი დაიარაღებული ცხენები გამოგვიგზავნეს და გავემგზავრეთ ქათალიკოსის წირვის მოსასმენად ტაძარში.

ნიკოფორე და ალექსი მოვიდენ საკრებულს ტა-ძარში წირვის მოსასმენად. შევიდნენ ტაძარში თუ არა, წარსდგნენ სატის წინ სალოცავად, როცა სატის წინ აღცვა გაათავეს, მათ უბრძანეს მისულიყენენ მეფის წინაშე და თავიანი ეტომისთვის. ნიკოფორე და ალექსი მი-ვიდნენ მეფესთან და თავიანი სცეს ჟერ მეფეს და შემდეგათა-ლიკოსს. მეფე იღვა თავის სამეფო ადგილზე, რომელიც ქვისაგან იყო გაკეთებული სვეტთან. ამ ადგილზე და მის



გარშემო დასატულნი იყვნენ წმინდანები და მეფეები; მეფეს ხელში ეჭირა კვერთხი, ხოლო ქათალიკოსი მასში იჯდა ეკვლევისის შუა, სამეფო კარების შირ-და-შირ სავანდელში და მოსურულა ქქონდა მანტიას და კითხულობდა წიგნს, ქათალიკოსის წინ ეფინა დიდი ხალიჩა, ამ ხალიჩის ზემოდ ეფინა ოქროს მოწილი ხალიჩა, რომელსაც ეწოდა სასარკება, ჯვარი, სტიქარი, სამღვდელმთავრო ბისონი, სამაჯურები და ომეფორა, ხოლო დიდი ხალიჩის ბოლოს იდგა სტოლი, რომელიც შემოსალი იყო მოქატილი სვერდით; ეს სვერდი დაფარულია ძვირფასი ქვებით. ამ სტოლზე ელაგა სამღვდელმთავრო გვირგვინი. ამგე სტოლზე იდგა ქათალიკოსის ქუდი. ქათალიკოსის შემოსის წინ გამოვიდნენ საკურთხეველიდგან ანკიდიკონი და დიკონი თეთრი შესამოსლებით და საცეცხლელებით ხელში. იგინი დადგნენ ქათალიკოსის წინ და უმბიეს მას. შემდეგ ისევ შევიდნენ საკურთხეველში. ცოტა ხნის შემდეგ გამოვიდა ოთხი დიკონი, თავი დაუქრეს ქათალიკოსს, ანკიდიკონი და დიკონი ემთხეაენ მას ხელზე, გახადეს ქათალიკოსს მანტიას და ჩაატყეს ოქროსაგან ნაქსოვი სტიხარი, რომელსაც სასელაგობა ანა ქქონდა. შემდეგ შემოაბრტყეს საბრტყელი, რომელსაც ოქროს დილები ქქონდა. საბრტყელი დაფარული იყო ძვირფასი ქვებით. სტოლსავე ზემო დაჭვიდეს ოლხა, რომელიც წითელი იყოს ატლანისაგან იყო გაკეთებული და მოქარგული იყო ოქროთი და ვერცხლით. შემდეგ გაუკეთეს სამაჯურები, ატრეტე ოქროს და ვერცხლით მოქარგული. მერე ჩაატყეს სამღვდელ მთავრო სვერდის ბისონი და თავზე დაახურეს ჩ. მოსხმული გვირგვინი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

წელს თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლა დაამთავრა ოც-დარვა ყმაწვილმა. აი მათი სახელი და გვარი: იოსებ ბალოუაშვილი, ივანე ბაგობიანი, ნესტორ ზიორგაძე, შიო დედაბრიშვილი, ბიქტორ დარჩია, ლიმიტრი დეკანოზიშვილი, რაფიელ ზუკაკაშვილი, იელიანე შიფშიძე, ლავით ძავკასიძე, ბიორგი მარგალიტაძე, ალექსანდრე მათა-თაშვილი, იოსებ მირიანაშვილი, ლავრენტი მათიკა-შვილი, პეტრე მიხელიძე, ილია ფერაძე, ლავრენტი

ფერაძე, ბრიგორ პავლოვი, იოსებ რაზმაძე, ნიკოლოზ რაზმაძე, შილიპე რენგიაშვილი, ივანე სანგულაშვილი, მიხეილ მონიკაშვილი, ბიორგი ტყეაძე, ევგენი ტროიცი (რუსი), ილარიონ ხახუტაშვილი, ძირილე სეგოვეი, იოსებ ჭირაქაძე, შეოფილაქტე შეოფილაქტოვი. ამ კურსს დამთავრებულთაგან ილია ფერაძე, სახელმწიფო ხარჯით იგზავნება კიევის სასულიერო აკადემიაში. ბარდა ამისა ცეგოვეი აპრობს თავს ხარჯით ტომსკის უნივერსიტეტში წასვლას.

* *

სენაკის მაზრის სოფლას ნოტოჩაოს წმ. გიორგის ეკლესიის კრებულისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი:

«მ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ რკინის გზაზედ მოსამსახურე ალექსანდრე ძალანდარიშვილს, რომელმაც შემოსწირა ჩვენს ეკლესიას ოქროთი დაფერილი ვერცხლის ბარძიმ-ფეხში, ვარსკვლავი, კოვზი, განსაზავებელი და დაფარები, ღირებულნი 132 მანეთად.

* *

მღვდლის პავლე ბახტაძისაგან ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი, რომლის დაბეჭვდასაც გთხოვს იგი:

„სოფელ ქვიტირში ადვილობითა მრევლმა ამ ოთხი წლის წინად აღაშენა ეკლესია, რომელზედაც დაინახა თორმეტი ათას მანეთამდე. თუმცა ხსენებული სამრევლო შესდგება 280 კომლისაგან, მაგრამ ეკლესიის აღშენება მანაც მეტად გაუჭირდათ. ამის გამო ხალხმა ველარ შეიძლო ვერც შესაფერი კანკელის მოპოვება და ველარც ქვის იატაკის დაგება ეკლესიაში. სასიხარულოდ საზოგადოებას აღმოუჩნდა ორი ღეთის-მაყვარე კაცი. მრთი ამათგანი არის აქვე მცხოვრები ზოჯასპირ რუხაძე თავის შეილებით. ეკლესიის შენების დროს ბ. ბ. რუხაძე და მისი შეილები რიგ-რიგით თავს აღვენ მუშებს და ყურადღებას აქცევდნენ შენობის საქმეს. ბარდა ამისა ეკლესიის შესაფერი კანკელის მოსაპოვებლად ბ. რუხაძემ შესწირა ორასი მანეთი. მაგრამ როცა დაინახა, რომ დანარჩენი ფულის შეკრება ვერ შეიძლო მრევლმა,

მაშინ რუხადემ სულ თავის ხარჯით განიზრახა კანკელის ყიდვა. ამიტომ იგი მიიქცა ყოველად სამღვდელთა იმერეთის ეპისკოპოსს ბაბრიელთან და სთხოვა კანკელის გამოწერა რუსეთიდან. მეორე პირი, რომელმაც ასეთივე შეწირულება აღმოუჩინა ახლად აღშენებულ ეკლესიას, არის ბ. ზრიგოლ ქაეზინაძე. ამან ითავა თავის ხარჯით ეკლესიაში იატაკის დაგება, რაზე დაც დაინარჯება არა ნაკლებ ოთხასის მანეთისა.

ამ მოღვაწეობისათვის და შეწირულებისათვის სწორედ პატივის და მადლობის ღირსნი არიან ზემოთ აღნიშნული პირნი, რომელთაც მთელი სამრევლო და ეკლესიის კრებულნი გულითად მადლობას სწირავენ».



სიგეგა

თქმული გუნია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორისაგან დროსა უკანათლებულესის კანსტანტინე ლეკანის ძის დადიანის დასაფლავებაზე.

«სარწმუნოებამან შენმან გაცხოვროს შენ».

შემმუსერველი და უცვალებელი ძალა დროებისა განაგრძობს საშინელსა მოქმედებასა თვისსა და ამა ჩვენ წინაშე მდებარებს გვაში აწ უკვე განსვენებულისა მონისა ღვთისა უკანათლებულესის თავადის ქონსტანტინე ლევანის ძის დადიანისა.

ძველსა და დიდებულსა სახლსა დადიანისა მოაკლდა დღეს უფლისწული, რომელიცა არს უმრწემეს ძმათა შორის თვისთა.

მშვიდით მოქმედი სამეგრელოს წარსრულის ისტორიისა წარვალს დღეს ამიერ სოფლით.

სოტ-სოტად ვმორბებით ჩვენ ძველს კარგს დროს, ვეთხოვებით ძველს კაცებს და ვუახლოვდებით ახალსა საუკუნეს და ახალს დროებას.

რა მოძღვრება უნდა გამოეხატოთ, ძმანო მართლმადიდებელნი, წარსრულთა დროთა და წარმავალსა მხცოვანსა?


ია, ძმანო ჩემო, რამ წარსრულთა დრო და წარმავალნი კაცი იყვნენ მტკიცენი სარწმუნოებითა ღვთისა მსასოებელნი, ღვთის მოშიშნი, ძმათა და თვისთა მოყვარულნი, წრფელნი და კეთილნი გულისთა.

ბანსვენებულიცა უკანათლებულესი თავადი ქონსტანტინე ლევანის ძე იყო ამ ძველის დროის კაცი. იგი იყო შობილი მაღალსა შინა საზოგადოებასა და იყო მდაბალი; იგი იყო აღზრდილ ფუფუნებითა და კრძალვითა შორის განცხრომათა და იყო მარტივ, უბრალო; იგი განატარებდა დღეთა თვისთა საშვალ სხვათა-და-სხვათა მორწმუნეთა გინა ურწმუნოთა საზოგადოებათა და იყო მოსავ ღვთისა. მან მსახურა პატიოსნებითა და ერთგულებითა მამულსა და ტახტსა უმეტეს ორმოც-და-ათის წლისა და მოწყალეთა რუსეთის ხელმწიფეთა განსხვავესცა იგი და შეუმკეს მკერდი ნიშნითა განსხვავებისათა და იყო დრო, ოდესცა მას ხელთ ეპყრა ბედიცა და უბედობა სამეგრელოს მთავრობისა.

ზარნა უმეტეს ყოვლისა ცხოვრება განსვენებულის თავადის ქონსტანტინესი გვასწავებს ჩვენ, რომ ყოველივე წარმავალ არს ამა სოფლად: დიდება, სიმდიდრე, სიშნო, ვგარიშვილობა, განსხვავება, ყოველივე, ყოველივე წარმავალ არს, ყოველივე ამაო არს. ამოვება ამოვებასა ზედა იტყვის წინასწარმეტყველი. ცხოვრება ამა სოფლისა ვითარცა გუშინდელი დღე.

შევემსჭვალნეთ, ძმანო ჩემო, ქრისტესა ღვთისა. მხოლოდ იგი არს ნავთ საყუდი ცხოვრებისა, მხოლოდ მასთან ვბოვებთ ჩვენ საუკუნოსა და წარუალსა ცხოვრებასა. მიყენეთ ქრისტეანენი სიტყვითა და საქმითა. ვიყვნეთ მორწმუნენი და შევიყვარნეთ მოყვანნი ჩვენნი, ვითარცა თავნი ჩვენნი.

მოვედით, ძმანო მორწმუნენო, უკანასკნელი ამბორი მივსცეთ მკვდარსა და ვმადლობდეთ ღმერთსა ამინ.



სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილზნებობაზე

ცხოვრება

კესარია-კანბადოკიის მთავარ-ეპისკოპოსის წმიდა ვასილი დიდისა.

მსოფლიო მასწავლებელი, — როგორც უწოდებს წმიდა მართლ-მადიდებელი ეკკლესია წმიდა ვასილ დიდისა, იყო ისეთი ოჯახიდან, სადაც, თითქმის შეუძლებელია, გადადიოდა კეთილ-ზნებობა და კეთილ-მსახურება მშობელთაგან შეილვებულად. დედა და მამა წმიდა



ვასილისა: მღვდელი ვასილი და წმიდა ემელია იყვნენ კეთილ-მსახურნი ადამიანნი; საბუა და ბებია მისი იყვნენ მონაწილენი სარწმუნოებისათვის — აღმსარებელნი.

წმიდა ვასილი დაიბადა ნოკკასარიაში, პირველ-დაწყებითი აღზრდა მიიღო თავის ბებია მაკრინესაგან, რომელმაც შთანერგა მის გულში ურძობითვე თესლნი კეთილ-მსახურებისა, ამ თესლთა ბოლოს გამოიღეს

უხვი ნაყოფი. შემდეგ ამისა წმიდა ვასილი ნახულადა სსვა-და-სსვა ადგილებში შესანიშნავ სტუმრს და გამოჩენილ მასწავლებელთა და მოძღვართა, სასწავლო: კანბადოკიაში, კონსტანტინეპოლში და ბოლოს ათონში, სადაც მან დაამთავრა თავისი განათლება, შეიქმნა სრული მეცნიერი ყოველ გუნდსამეცნიერო სწავლაში.

სწავლის შესრულების შემდეგ, ბასილმა განიზრახა გველიობა, მაგრამ მალე დაანება თავი ამ განზრახვას, რადგან თავში ისეთი რაღაცა სიტყვილი და არაკარგობა იგრძნო, რომ ვეწაფებით ვეღარ შეგვესო და დაეკამოფილებია თავისი გული; მან იგრძნო, ასე ესტეკათ, სულის წუეურობი, რომლის მოგვლა შეიძლებოდა მხოლოდ კეთილი საქმეებითა და ღვთისადმი მსურველი ლოცვით. ეს უგელოებრა ცხადათ ესმოდა ვასილ დიდს და ამიტომ იმან გარდაწვივება დაეტოვა ერის-კაცის ცხოვრება და შესდგომოდა ბერობას. ის მოინათლა 359 წელს და შემდეგ ამისა მალე განწყობულ იქმნა შედევით ერთს ეკკლესიაში. ბერობის შესასწავლად იმან მოიარა სირია, მესოპოტამია, პალესტინა და ეგვიპტე. მართალი უნდა ესტეკათ, რომ მამინ, თუ ეი ვინმეს სურდა, სწავლის მიღება ბევრგან შეიძლებოდა: ერთ ადგილს ასწავლიდენ მაკარი და პაისი, მეორეს — იაკობ ნიზიბიელი სასწავლო-მოძემელი, მესამეს ექვთიმე და მტავალი სსვა წმიდა მამები, რომლებიც, ვითარცა ვარსკვლავნი, ბრწყინავდენ თავიანთი ქველ-მოქმედებით და სასწავლებით. საკვირველი ისაა, რომ წმიდა ვასილ დიდმა შემდეგ ამ წმიდა ვაგების ვაცნობისა, გარდაწვივება განშორებოდა ქვეყნიერ ცხოვრებას და ეცხოვრა, ვითარცა მარტო ერესტე განდგომის! ვასილმა აიწინა დასაუფლებლად ნოკკასარიის მახლობლად მდებარე უდაბნო; აქედამ ასლო ცხოვრობდენ მის. დედა და დეც, რომლებიც შეიმოსენ მოხსენებოთა.

მარადის მლოცველი, წმიდა ვასილი აგრეთვე შეუდგა წიგნების წერას სხვებისათვის, მან დასწერა: ღვთის-მიერ განსჯაზე, სარწმუნოებაზე, ზნეობით განიხები, დარბეგანი ბერ-მონაზონთათვის და სსვა.

წმიდა ვასილი ეკურთხა მღვდლად 364 წ., ხოლო 370 წ. კესარიის ეპისკოპოსად, მაგრამ ამ ხარისხზე ვასილმა, სამწუხაროდ მთელის ეკკლესიისა, დაჯეომლიერ მოკლე ხანი, სულ რვა წელი. ბრძოლა მწვალებლებთან, ხშირი გულის-წყენა, დიდი-მარხულობა და მძიმე შრომა სამწყურს მართვის გამო, — ეგვლა ამებმა შეუძოკლეს სიტოცნლე ამ ეკკლესიის დიდს სვეტსა. წმ. ვასილი დიდი გარდაიცვალა 374 წ. 50 წლისა.

კასილ დიდმა დასწერა, სხვა თხზულებათა შორის, წიგნის წესი—ლიტურგია კესარიის ეკკლესიისათვის; ეს წიგნი სრულდება დღეს წელთაღმარებლის სულ ათჯერ: 1 იანვარს, როდესაც ეკკლესია იგონებს კასილ დიდს, ზირველ სუთს კვირა დღეს დიდ-მარტვირის, დიდს სუთ-შაბათს, ვნების შაბათს, შობასა და ნათლის-ღების დღეს იმის მიხედვით. თურა დღეებში შესკდებიან ეს დღესასწაულები.

მზავალ სასწაულთა შორის, რომლებითაც ისახულა თავი კასილ დიდმა, ჩვენ აღნიშნავთ მარტო ორ-სოცამათთა: 1) იმპერატორს ვალენტს გაუხდა ავით ვაჟი-შვილი ვალენტი ვერ კიდევ მოუნათლავი. კასილს მოუწოდა იმპერატორმა და კასილმა განუჩინა იმისი ავითყოფა მე იმ იმედით, რომ იმპერატორი ვალენტი, რომელიც ანთონის სწავლის მიმდევარი იყო, ხაფიჭდებ-ბა და დაუბრუნდება ჭეშმარიტს სწავლასა. მაგრამ მოსტყუვდა იმედში, — იმპერატორმა არ ასურვა ანთონის სწავლის გადადგომას, და სასტიკად იქმნა დასჯი-ლი. ვალენტმა ბრძანა მოენათლა მისი შვილი ანთონის სწავლის მომდევარს ეპისკოპოსს, მაგრამ მოსანათლავი მე ვალენტისა იქვე განდარცვალა.

2) ერთი კეთროვანი ისე ძლიერ იყო დასენანგ-ბული, რომ ტანიდამ მერალი სუნი ასდიოდა და მისი მოჩენის იმედი სრულიად აწავის ქონდა. წმ. კასილმა მთელი დამე ილოცა ავითყოფას ლოკინთან მის გან-კურნებასათვის და მართლაც ისმინა ღმერთმა მისი ლოც-ვა და მოანიჭა სწეულს სიძრთეული.

3) კასილი დიდი იტრობდა ერთს ებრაელს მეურ-ნელს, რომელსაც ძლიერ ზატეკის სტემდა მისი ზატეოს-ნებისა და მეურნეობის კარგად ცოდნისათვის და უნდოდა მოენათლა იგი. კასილმა დიდმა რომ იკრძოლა სიკვ-დილის მოახლოება, მოაწვია ეს ექიმი და ჭკითსა თა-ვისი ავითყოფობასუდ, თურამდენად საშიშარია. ექიმმა უთხრა, რომ ის უსათუოდ იმ დღისთვის უნდა გადა-ცვლილიყო. მაშინ წმ. კასილმა სიტყვა გააწვევითა ექიმს და ჭკითსა: რას იქ, რომ მე შეიღ დღემ-დაც გაქმლო. — მოვინათლები, უნასუსა ებრაელმა და წავიდა სასლში სრული დაწმუნებული, რომ კა-სილი იმ დღესვე მოკვდებოდა. მაგრამ კასილი, რომელსაც ძლიერ სურდა ებრაელის მონათლვა, შეეკადრა ღმერთს მეორე დღეს შუადღემდი სიტყვის დატა-ლებას. მეორე დღეს ექიმი ებრაელი ისე განცვიფრდა ამ სასწაულთ, რომ ცოცხალი ავადყოფი ისეკ ნახს, რომ იმავე დღეს მოინათლა მთელი სასლობით თვით კასილი დიდისაგან და მიიღო წმიდა ზიარება.

ივლიანე განდევნილს წმიდა კასილმა ანთუ უწინას-წამეტყუვლა სწავთი სიკვდილი, ანამედ წინათვე გასტე-რიტა მისი დაღუპვა სხანსელებთაგან რძში. თავის ლოც-ვაში ღვთის-მშობლის წინაშე კასილ დიდმა სთხოვა მას, რომ ივლიანე განდევნილი, რომელიც თვით დაემუქრა ქრისტიანებს გაწვევითს და თვით კასილს, — ან მოტე-ულიყო ისევე ქრისტიანობისადმი, როდესაც დაბრუნდ-ბოდა სხანსეთის რამდგან, ან და, თუ ამას ვერ შეიძლე-ბა თავის სასტიკი სასიათის გამო, — დაღუპულიყო რძში. უეტრად მოწამე მეტყუნი, რომელიც დასტული იყო იმავე სატეკ, გაჭტრა და ისევე გამოცხ-დადა კასის-ლიანებული დასკრით სელში. აქედამ წმ. კასილმა შეიტ-ყო, რომ აი ამ დროს დაღუპა ივლიანე.

ცხოვრება კონსტანტინეპოლის მთავარ-ეპისკოპოსისა.

წმიდა გრიგორი, კონსტანტინეპოლის მთავარ-ეპისკოპოსი დაიბადა ქალაქს ნაზიანში მსურველი ლოც-ვის შემდეგ ღვთის-მოსავთ დედა მისის ნონისა, რომელიც აღთქმას დასდგა ღვთისათვის შეეწირა თავისი მე. ნონამ თავის ქეს სასკლად დაარქვა გრიგორი, რადგან მას სიზმარში ებრძანა ამ სასკლის წოდება. ნონამ მტე-ცედ ადგა თავის აღთქმას და თავის შეილს ამზადებდა ღვთის შიშში და კეთილ-მისხურებაში; ამასთანავე იგი ხშირად მოაგონებდა შეილს ამ აღთქმას, რომელიც მას უნდა აღესრულებია. მე შენი თავი აღუთქვი ღმერთს, ეუბნებოდა იგი შეილს, და აღასრულებ რა აღთქმას, გწირავ ღმერთს, აღასრულე შენც ჩემი სურვილი. შენ დამებადე ჩემი ლოცვა-ვედრებას მეხსებით, ესლ მსო-ლოდ მას ვსთხოვ უფალს, რომ შენ შეიქმნე სრული და უნაკლო. მე შენ ვაბარებ სელში ამ ძვირთასს საუნჯეს (სადმითა წერილის წიგნებს) შეილო ჩემო, ჭელობდე მათ მთელს შენ საწაო სიტყვისლეში, ხოლო მომავალ ცხოვრებაში მიიღებ კიდე უფროებს საუნჯეს.

წმიდა გრიგორი ღვთის-მეტყუვლმა, შემდეგ თავისი დედისა, ზირველ დაწვებითი აღზრდა მიიღო თავის ბიძის ამთელოზისაგან, რომელიც იმ დროს ცნობილი იყო როგორც მსწავლებელი მეტყუვლების, შემდეგ ისმენდა სწავლას მკურნ მეტყუვალს თესებისა-გან კაბადოკიის კესარიისში, მას შემდეგ იყო აღექსანდ-რისში, ბოლოს, როდესაც ის გახდა 24 წლისა, მოვი-



და ათონში და აქ დაუმეგობრდა ვასილ დიდს. სწავლის დამთავრების შემდეგ წმიდა გრიგორი ღვთის-მეტყველი დაწინა იქვე მასწავლებლად; ათონში იგი ცოტა ხანს იყო. მრავალ ხალხთა ქალაქში ცხოვრება წმიდა გრიგორს უშეიძლება განმარტოებას, რაც ასე ძლიერ მოსწონდა და უყვარდა. გარდა ამისა იგი უნდა მოხმარებოდა თავის მამას ნაზიანზელს ეპისკოპოსს, რომელსაც ერქვა აგრეთ-
 კი გრიგორი. მაგრამ ალბათ საჭირო იყო, რომ თვით ამ წმიდა გაცნატი გი გამოეცნა დიდი რამ განსაცდელი, რომ მთელად გარდაწყვიტა განმარტება ქვეყნიურს ცხოვრებისაგან. და აი ერთხელ ზღვაში მოგზაურობის დროს თავის სამშობლოში ამოკარდა ზღვაზედ საშინელი და ხანგრძლივი ქარიშხალი. სიკვდილი აუცილებელი იყო, მაშინ გრიგორიმ მისცა ღმერთის აღთქმა, რომ თუ ამ




განსაცდელს გადაურჩებოდა იგი, მთელი მისი ცხოვრება ღვთის-მსახურებისათვის შეეწირა. აი მისი საკუთარი მაშინდელი სიტყვები: «რცხი დღე და ღამე გიწვიო მე გემის ბოლოზე და ვევედრებოდი მარწყულ ღმერთს შველს, და აი ამ განსაცდელში მივეცი ღმერთს აღთქმა მისდამი თავის შეწირვისა და აღთქმის შემდეგ გადაურჩი კიდევ».

შინ მისვლის შემდეგ წმიდა გრიგორი ძლიერ უყვარდა მამას ეკლესიის მართებაში და იმავე დროს მუშაობდა ოჯახშიაღ. მის ამხანაგს, წმიდა ვასილ დიდს

უნდოდა მისი უდაბნოში დაბრება, სადაც დიდი ხანი მიიზიდებოდა წმიდა გრიგორის სული. მაგრამ მოსუ-
 ცებუელი მამის წინაშე იგი გრძობდა იმდენს შვილურს მოკვლევას, რომ იგი იმულებული იყო განმარტებოდა თავის უძვირფასეს სიყმაწვილის მეგობარს და იმ უდაბ-
 ნოს ცხოვრებას, რომელიც მას ძლიერ უყვარდა. როცა გრიგორი დაბრუნდა შინ უდაბნოში, მამამ აკურთხა იგი მღვდლად. თუ რამდენად თავდასჯერილ და წმიდა ცხოვრებას ატარებდა გრიგორი, ამისად შეგვიძლია შევადგინოთ აზრი თვით მისივე სიტყვებიდან: «ვერცხლს და ოქროს მე უთმობდა სხვას. ჩემთვის გემრიელია ერთი ლუგა პური; გემრიელი შეჭამდა ჩემთვის მარ-
 რილი, და ფხიზელი სასმელი წყალია. მე არ მეტყვიერება პატრიარქი, რომელიც ქარივით წარმავალია, და მსწრაფელ დასაკარგი დიდება, ჩემთვის საჭირო არაა ქალაქებში ქონება, ანუ მოქალაქეთა შორის ცნუ ოცნებებით მხარ-
 რულება, რომლებიც ერთი მკოტყს მოჭყვების და ქტყ-
 ბიან».

371 წ. წმიდა გრიგორი ღვთის-მეტყველი ეს მა-
 რებოდა თავის მეგობარს ვასილ დიდს იმპერატორი ვალენტის წინააღმდეგ, რომელიც ანთონის სწავლის მიმდევარი იყო, სოლო 372 წ. დიდმა ვასილმა აკურთხ-
 ხა წმ. გრიგორი სოხომის ეპისკოპოსად. მაგრამ, ღვთის განგებულებით გრიგორის მამამ ხელახლა მოუ-
 წადა შვილს თავის თანაშემწედ და მალეც გარდაიც-
 ვალა. სიკვდილის წინ მან ჩააბარა თავის შვილს ეს თვისი სამწესო. წმ. გრიგორი მართადა მამისაგან ჩა-
 ბარებულს სამწესოს 375 წლამდე; შემდეგ ამას იგი შევიდა სელევიის მონასტერში. თუ რამდენად გამოჩენი-
 ლი მჭკვერთმეტყველი იყო წმ. გრიგორი, ამას გვიტ-
 ვიცებს ის, რომ მას უწოდეს «ღვთის-მეტყველი» მასა მადლი და აღმამთერხი შესხედულობისა, სწავლისა და აზრებისათვის, და აგრეთვე ის ქადაგებანი, რომლებიც მას წარმოსთქვა 378 წ. კონსტანტინებოლში, სადაც იგი მიწვეულ იქმნა ანტიოქიის ერეპისკოპოსს. კონსტან-
 ტინებოლში მისვლის შემდეგ, წმ. გრიგორიმ ხანა, რომ მთელს ქალაქში იყო მართლ-მადიდებელთათვის მხო-
 ლოდ ერთი ეკლესია და ისიც ღვთის-მსახურების დროს რჩებოდა თითქმის მთლად ცარიელი. სხვა ეკლესიები გი ამავე დროს გატყდილი იყვნენ მწვალებლებისაგან. წმ. გრიგორიმ დაიწყო ქადაგება ქრისტის სწავლისა—და მაშინვე მოაწვდა მას ურცხვი მსმენელები, რომელთაც სურდა მოესმინათ გამოჩენილი წმიდა გაცნის სწავლა-
 მომდევრება. მსმენელთ შორის იყვნენ მწვალებელნი, წარ-
 მართნი და ებრაელები.



მიწად გი უყვდებოდა წმ. გრიგორი ღვთის-
მეტყველს ეს ქადაგებანი: მწვალებლები, რომელ-
ბის წინააღმდეგაც იყო მიმართული მისი ქადაგება და
რომლებიც სრულიად უღონონი და უძლურნი აღმოჩნდნენ
გრიგორის მძლავრი სიტყვის წინააღმდეგ, ისეთ ნაარად
ბრძნდებოდნენ, რომ ქვეებით ქოლავდნენ მქადაგებელს.

ეპისკოპოსის საჩისსა წმ. გრიგორის ძლიერ
მომქმედ მიანხნდა, თუმცა უარს აწასოდეს ან ამ.
ბოზდა ეპისკოპოსობაზედ სხვების საზრებლობის მო-
სატანად, და მით უმეტეს ეკკლესიის სასარგებლოდ. ამი-
ტომ რომდესაც ის დაწმუნდა, რომ მისი კათედრიდამ განხ-
და მართლმადიდებელთ შორის დაკა და განხეთქილება,
დაუყოვნებლივ წავიდა ნაზიანზში; აქ მან დაუყენა სა-
ეპისკოპოსი, და თვითონ მიიქცა სოფელ არანზში. ამ
სოფელში წმ. გრიგორი ღვთისმეტყველი ცხოვრობდა
მარტოდ-მარტო, — განდევნილად, — თუმცა იმას აქედამაც
დადი სარგებლობა მოჰქონდა მსოფლიო ეკკლესიისა-
თვის თავის თხზულებებით.

წმიდა გრიგორი გარდაიცვალა 389 წ.; მან დას-
ტოვა მრავალი წერილები, ლექსები და სიტყვა მოძღვრე-
ბანი, რომელნიც ეკკლესიის დიდ სულიერ განმად მან-
ნიას.

ისტორიკოსი მეოთხე საუკუნის რუფინი აი წას
ამბობს წმიდა გრიგორის ცხოვრებაზე: ცხოვრება წმი-
და გრიგორისა იყო უმაღლეს წერტილამდე უბრყვილო
და წმიდა; მკვერთმეტყველება მისი მეტი რომ აღარ შე-
იძლება — ისეთი ბრწყინვალე დიდებული იყო; საწმუ-
ნოება უმეტესად წმიდა კანონიერი, — ხოლო სწავლა-
განათლება მისი უუსრულები და უუგანკითარებულესი.

წმიდა გრიგორი ღვთისმეტყველის მოსაგონებლად
ეკკლესიას დღესასწაულობს 25 იანვარს გარდა კიდევ
ამავე თვის 30 რიცხვს, კასილ დიდთან და იოანე
ოქროპირთან ერთად.

კელამციის პასუხი.

აქესენტი ტან — იას.

ბ. ეფ. მ — ეს.

ბლ. მღ კ. გ — იას.

მღვ. პ. კვარ — იას.

ჯერ არასდრ, არ გაგკეთებულა.
როდესაც გაგკეთდეს რამე, მაშინ
გვაცნობეთ და დაგბეჭდვთ.

თქვენი გამოგზავნილ სტატიას
საგაზეთო დანიშნულება არა აქვს.
სჯობს ცალკე წიგნად გამოიცეს.
ყოვლად შეუძლებელია თქვენი შე-
ნიშვნის დაბეჭდვა. თუ მაგოდენი
უწესლება იყო კრების დროს,
რატომ კრების ყურნალში არ
აწის შეტანილია ყველაფერი? თუ
თავის დროზედ გახუცდავთ,
დაწმუნდით, რომ მიმჭრეველ
ურწადავებს. მაგრამ ჩვენ კიდევ
კერ გავიგია თუ როგორ ისურვო
მარტივლ-ს სამღვდელობამ ფო-
თში სასწავლებლის გადატანა?

ვინც ორმოცდა ათს წელიწადს
მღვდელობის სამსახურში გაატა-
რებს, მას ეძლევა ჯილდოთ ვლა-
დიმირას ორდენი მეოთხე საჩის-
სისა, რომელიც ყველა მის შვი-
ლებს ჩამომავლობით აზნაურის
წოდებას ანიჭებს.

მასკე.

ძლიერ სასაიმოვნოა, თუ თქვენმა
ბოქაულმა აგრე განათლა თქვენი
მსარე და სრულიად მოსზო ჭურ-
დობა და აგ ვაცნობა... დიქრთმან
ვეთილი მისცეს მასს!...

მასკე.

დიქრთმან ინებოს, რომ შემწეები
აღმოგჩენოდესთ სამძკელო სკო-
ლის დაწესების საქმეში.

შინაარსი: რა მიზეზია, რომ ოთხ-კლასიან სასუ-
ლიერო სასწავლებლებში სწავლის საქმე რიგინად კერ მი-
დის? — ეკკლესიის მწუქმის მოქმედება და მოღვაწეობა. —
«მწუქმის»-ს კორრესპონდენცია გორის მაზრიდგან. —
«მწუქმის»-ს კორრესპონდენცია სოხუმიდგან. — გორის
მაზრის სოფ. ზემო-ჭალის სკოლა. — პასუხი მ. ბენედიქ-
ტეს (ბარკალაას). — საისტორიო მასალა. — ახალი ამბები
და შენიშვნები. — სიტყვა, თქმული გურია-სამეგრელოის
ეპისკოპოსის ყოვლად სამღვდლო გრიგორასაგან დროსა
უგანათლებულესის კონსტანტინე ლევანის მის დადიანის
დასაფლავებაზე. — ცხოვრების აღწერა წმ. კასილი დიდისა
და გრიგორი ღვთისმეტყველისა. — რედაქციის პასუხი.